



დათა სასწავლებელში ეგზამენები დაწყება 11 ივნისიდან.

\* \* ნოვოროსისის უნივერსიტეტში წელს სწავლა დაამთავრა ხუთი ქართველი: თ. გ. დიასამიძე და ხ. ხოშტარიანი—იურიდიულზე, ი. თაყაიშვილი, ვ. გაბუნია და თ. კ. ამიყვირა—ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

\* \* ვისაცა სურს ტფილისის წმ. ნინოს ღვთისმშობლის სასწავლებელში ქალი სტუდენტობის, შეუძლიან თხოვნა მიართვას ამ სასწავლებლის რჩევას პირველ სექტემბრიდან და დოკუმენტურად წარადგინოს.

\* \* ქალაქის გამგეობასთან დაარსებულ კომისიას, რომელიც პურისა და ხორცის ნიხრს აწესებს, დაუკვეთენებია რედენიზე სული საქონელი, რომ შეეტყუა, რა ჯდება გირვანქა ხორცი. ამ რიგად გამოუჩინებია, რომ შესაძლებელია საქონლისა თუ ცხვრის ხორცის ნიხრის კაპეით დაკლებულ იქნას.

\* \* ბაქოში ნავთის შემუშავების საქმე თან-და-თან წარმატებაში მიდის. ესაა ისეთი ნავთის აკეთებენ თურმე, რომ, თუ ძალიან არ მოუკიდეს, თავის თავად არ იფეთქავს, როგორც აქნობამდე მოხდებოდა ხოლმე. ამ ნავთს ოდნავ წითელ ფერს აძლევენ, რომ სხვა ნავთისაგან ადვილად ირჩეოდეს. ხოლო ეს არის, რომ ძველ სისტემის ლამპრებში კარგად არ იწვება თურმე. ამისათვის სხვა ნაირი ლამპები კეთდება.

\* \* ტფილისის გუბერნიაში კალია სრულიად გაწყვეტილია, რიგი ნიაღვრის დაუხეობია და რიგი ტარბს გაუკეთებია. მუშა ხალხი, სხვა და სხვა სოფლებიდან გაყვანილი კალიასთან სარბოლველოდ, შინ დაბრუნებულა.

\* \* ეხლახან ტფილისში გარდაცვლებულმა პოლკოვნიკმა ბეგთაბეგოვმა ნაწილი თავის ქონებისა ანდერძით საქველ-მოქმედო საქმიანათვის გადასდო. როგორც „H. O.“-ს შეუტყუია, მთელი მისი ქონება 300,000 მანეთამდეა თურმე.

\* \* კავკასიის მთავარ-მართველი ს. ა. შერემეტევი, როგორც ვაზ.

და გიორგი იძულებულ ჰყო ახზახეთის მთებში გაქცეულიყო.

ამ სახით ეცნობა ეროლოვს აჯანყების ამბები. პუზირევსკის სიკვდილში მეტად შეაწუხა. ჩემთან ღირსეული აფიცერი მოკლან და სისხლი არ ვიზღვიო! წამოიძახა პირველადვე. 28 პარილიდან ბრძანება გასცა, რომელშიაც ნანობდა და აქებდა პუზირევსკის. მე გაჩვენებთო, საზოგადოებას ქიხოსრო გურიელის სახელით, —სწერდა ჯარს ერმოლოვი, —ქვა-ქვაზედ არ გაუშვით, ამ მეტობრეთა თავშესაფარში; ცოცხალი არიან გაუშვით იმ საზოგადოებრივ მოსწრეთაგან. გიპრძანებთ, დაუნდობლივ გაწყვიტეთ ბოროტი მოლაღობნი“.

აჯანყება ნელ-ნელა ვრცელდებოდა და ითხოვდა აქაზებულ ღონისძიებათა რუსების მხრივ. უკანასკნელად მიიწვია ეროლოვმა იმერლობა, დამკვიდრდითო. პუზირევსკის მოადგილედ დანიშნულ იქნა პოლკოვნიკი პეტრე დიმიტრის ძე თ.

Кавказ с შეუტყუია, კვირას, 14 ივნისს, ყარსის ოლქში წაბრძანდება.

\* \* რუსული გზებები იუწყებიან, რომ რკინის გზით მოგზაურობა შეღავათიანის ბილეთებით (50% დაკლება) სოფლის მასწავლებლებს არ შეუძლიანთო.

შეცდომის გასწორება  
მოწერილს ამბავში მარტივად № 114-ში შემდეგი შეცდომა: „ეს ხატი, როგორც მიაბა მღვდელ-მონაზონმა მამა სოფრონმა, წაუღია რუსეთს ბ-ნ საბინ-ს... უშდა იყოს: „წაუღია რუსეთს ბ-ნ საბინ-გუსსა“.

ახალი კანონი მოვასშობის შესახებ.

გუშინ ღებეშამ მოგვიტანა ამბავი, რომ დამტკიცებულა და უკვე გამოცხადებულა კანონი მოვასშობის შესახებ. აი შინაარსი ამ კანონისა:

1. მოვასშე, რომელიც თავის სარგებლითა სცხოვრობს და რომელსაც მოვასშობა ხელობად გაუხდია—უკეთეს მან სოფლის მკვიდრს მისცა სესხად ხორბალი ანუ სხვა ქირახული, ანუ ფული ავალა იმ პირობით, რომ ხორბლით, ანუ სხვა ქირახულით, გინა შრომით გარდაეხადოს თავნი ვალი ანუ მისი ნაწილი, უკეთეს ეს სამამოა და არ შეეფერება ადგილობრივს ჩვეულებას და ამა პირობის შესაკვრელად მოვასშემ ვალის ამღების გაჭივრებულ მდგომარეობით ისარგებლა, —დასჯილ იქმნება: პირველად დაპატიმრებით არა უმეტეს სამის თვისა; მეორედ—ერთიდან ექვს თვემდე. პირობის ქალღი გაუქმებულ იქმნება, ხოლო მოვასშეს ნება აქვს მოითხოვოს მისი მიერ ვაკემული ხორბალი, ქირახული ანუ ფული, იმას გარდა, რაც უკვე მიუღია (დამატება იმ სასჯელთა კანონისა, რომელთაც განუწყესებენ მომრიგებელნი მოსამართლენი).

2) იმავე კანონის მე-IV განყოფილების XIII მუხლი დაპატებული იქმნას ამ დებულებით (მუხ. 180<sup>2</sup>): ვალის ვაცემისათვის დიდის სარგებლით ანუ დიდის ჯარიმის დაწერით: ა) უკეთეს ფულის ამღები გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, რაც თვით მოვასშემაც იცოდა, და ამის გამო სამძიმო პირობებით იკისრა ვალი,

ჩაკოვი; ამასთან კორპუსის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ველიამინოვიც ვაგზავნილ იქმნა იმერეთში დიდის უფლებით: იარაღით ხელში შეპყრობილნი მოჯანყენი სიკვდილით უნდა დაესჯა. ქიხოსრო და ამაშიც გამოაცხადეს სახელმწიფო მოლაღობებელ და მოუსპეს მფარველობა კანონებისა. ნაბრძანები იყო მოჯანყე ვახტანგის დაქერა და თოფით დახვრეტა ქუთაისში.

ველიამინოვი მოვიდა ქუთაისში 25 აპრილს. ამ იმერეთის გულში უფრო ნამდვილი წარმოდგენა შეადგინა აჯანყებულნი. აღმოჩნდა, რომ მომეტებული ნაწილი იმერეთისა იმავე თავით მშვიდად იყო. მხოლოდ რაჭველებს არ მელოთ ერმოლოვის მოწოდება დაწყარბისათვის. ხანის ხეობაში იღვა მოჯანყეთა ბრბოთა ამაშიძის წინამძღოლობით — ორას კაცამდე იყვნენ; მაგრამ აქა-იქ მრავლად დაწვრილდნენ წვრილ-წვრილი ბრბონი ქურდებისა, ქუთაისამდე, მსცემდნენ და სკარცავდნენ ყველას,

ანუ ბ), უკეთეს მოვასშემ სარგებელის სიდიდე დაჰფარა როგორმე, თავნებ მისვლით, გიროს შესანახ გარდასახადის ანუ ჯარიმის სახელით,—მოვასშე, რომელიც ამაში გამტყუნდება, დაპატიმრებულ იქმნება 3 თვემდე 1 წ. და 6 თვემდე და ჯარიმაც გარდახდება 300 მანეთამდე. ესევე სასჯელი დაედება იმას, ვინც ამისთანა პირობის ქალღს შეიძენს ანუ სასამართლოში წარადგენს გარდასახდევინებლად, ანუ გასესხებულს მიიღებს, თუ დაუმტკიცდა, რომ ამანაც იცოდა ვალის ამღების გარემოება. პირობის ქალღი გაუქმებულ იქმნება, ხოლო გამსესხებელს შეუძლიან ვალის ამღებს თავნი მოსთხოვოს, მიღებულს გარდა. 12 სარგებელი წელიწადში დიდად არ ჩითვლება.

3) სისხლის სამართლის სასჯელთა კანონის 99<sup>2</sup> მუხლი ესე შეიცვალა: გამსესხებელ კასების პატრონები და მათი ნოქრები, თუ დაისაკუთრებენ დაგირავებულს ნივთს, თვითონ მოიხმარებენ, ანუ სხვას მისცემენ მოსახმარად, და თუ დიდს სარგებელს აიღებენ, —დასჯილ იქმნებიან სისხლის სამართლის კანონით, დანაშაულობისამებრ, და ამას გარდა სამუდამოდ აეკრძალებათ გამსესხებელ კასების დაარსება.

4) სასჯელთა კანონის 1688 მუხლის მესამე ნაწილი ესე შეიცვალა: დამნაშავე, უკეთეს მან, თვის სარგებლობისათვის, მიითვისა წოდება რომლისამე სახელმწიფო ანუ საზოგადო მოხელესი, ანუ შეადგინა და მოიხმარა ყალბი ქალღდები, ანუ ყალბივე სავაჭრო წერილები, ან კიდევ სასმელების საშუალებით შესხიერება დააკავრენა ვალის ამღებს, ანუ დაპაირდა, ტყუილად დაარწმუნა, დაათათბირა და ისარგებლა პირობათა გაუგებლობით და უცოდინარობით, დასჯილ იქმნება ყველა განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევით და ციხიბრში ვაგზავნით, ანუ არესტანტების განყოფილებაში მიცემით, სასჯელთა კანონის 31 მუხლის მე-5 ხარისხის ძალით.

5) სასჯელთა კანონის დასამატებლად დადგენილია 1,707 მუხლი, ამ შინაარსით: უკეთეს ერთხელ გამტყუნებული იმ დანაშაულობაში, რომელიც 180<sup>2</sup>-შია (მომრიგებ. მოსამ.

ვინც-კი რუსებისაკენ იყო. ამ ბრბოთა გასაწყვეტად ვაგზავნილ იქმნენ პატარ-პატარა რაზმები ყაზახებისა სახელოვანის გენერალ ვლასოვის სარდლობით. შეუპოვარ რაჯაში თვით თავადი გორჩაკოვი წავიდა ჯარით. ველიამინოვი ქუთაისში დარჩა. გორჩაკოვის მალე მოსლვამ რაჯა დამშვიდა მალევე, განთავიფლებულ იქმნა მინდე ციხეში შემწყვედელი რუსის რაზმი ოლქის უფროსიანად. რაჭველებს მთლად ჩამოართვეს თოფიარაღი; იქვე აწვამები, რაჯა-კოკაცი და სხვ. წვრილმანი რკინეული დააკეთებინეს ასაშენებელ ყაზარმებისათვის ს. ქათევი იმ თოფიარაღისა. იარაღიან რაჭველებს ჩამოართვეს ბუკებიც, რითაც ხალხს თავს უყრიდნენ, როცა საჭირო იყო. ამისთანა ბუკები ამ აზრითვე დღესაც იხმარება შოტლანდიაში.

მინდეში გორჩაკოვმა ხელთ იგდო აჯანყების მოთავეთა ქალღდები, სადაც დაწვრილებით მოთხორობილი იყო აჯანყების გვამა, აზრი და შეძ-

სასჯ.) მოხსენებული, მეორედ გამტყუნდება, ანუ ამ დანაშაულობას ჩაიდენს მოვასშე, მაშინ იგი დასჯილ იქმნება: ყოველ ღირსებათა ჩამორთმევით და დასასახლებლად ციხიბრში ვაგზავნით, ანუ ციხეში დაპატიმრებით, სისხ. სამართ. 31 მუხლი: 1 და 2 ხარისხის ძალით. პირობის ქალღი გაუქმდება, ხოლო მოვასშეს ნება აქვს თავნი დაიბრუნოს.

წერილი ტფილისიდან

სიკვდილი ორის მუშა-კაცისა.—გაგუდვა ვაზით ოთხისა.—ცეცხლი.—ინე. პ. გორლოვი.—მანდის მმართველი ალაბაზოვი.—ტფილისიდან გამოგზავნილი ინე. ბეგზაროვი.—ცეცხლის ვაჩენის მიზეზი.—მილიონ-მილიონდები —სასამოვანო ამბავი.—გზა-ტყევილი ტყიბულიდან ნაქრალამდე.—თილის ქვის ახალი კვლევი.—უხვი შეწირულება მღვდლისა.

დღეს, 3 ივნისს, ტყუილად, აქციონერთა საზოგადოების ქვის ნახშირის მადანში, დიდი უბედურება მოხდა: დილის თორმეტ საათზე, როცა სამუშაოს გათავების ზარი დაჰკრეს და მუშები პურის საჭმლად გამოვიდნენ მღვიმე—მალაროდან, ორი მუშაქეთისის მხარის, სოფელ გურნის მცხოვრებნი, იოსებ გაბადაძე და ალექსი ერადე, რომლებიც დილიდანვე მუშაობდნენ მანდის ზედა სართულში—სადილობისას არ სჩანდნენ. „შტეიგერის“ თანაშემწემ ს. ქაჯაიამ იმ წამსვე აფრინა კაცები მღვიმე—მალაროში, უბედურება რამ არ მომხდარიყოსო, და ცოტა ხნის შემდეგ საბრალო ახალგაზდა და სიკოცხლით სავსე ი. გაბადაძისა და ა. ერადის უსულო გვამებს-კი წაადგნენ მძებნელი მუშები.—გაბადაძე და ერადე ვაზითა და კომლით დამჩრვალისყვნენ.—ვაზი ისე ძლიერი იყო მღვიმეში რომ, როცა გაბადაძის და ერადის საშეგლად და ამოსაყვანად შევიდა მღვიმეში ოთხი კაცი: კოტე ყიფიანი, ალექსანდრე ლენეფაძე, ივანე კახიანი და ვარლამ ავალიანი, ხუთის წუთის განმავლობაში გააგუდნენ ყველანი და უგრძობლად დაეცნენ იქვე. ერთმა, ა. ლენეფაძემ, ძლივს მოასწრო ორის სიტყვის წარმოთქმა: „გვიშველეთ, დავიჩვენებთო!“ იმ წამსვე მეორე რიგი მუშებისა ჩაჰკაზანა ს. ქა-

ლება. ამ ქალღდებით მიაგნეს უმთავრეს დამნაშავეებს და ერთიანად დაპატიმრეს. თავადის წულუკიძის სახლის ვახტანგის დროს გორჩაკოვი კინადამ არ მოჰკლეს. წულუკიძე უცბად მივარდა ხანჯლით გორჩაკოვის რე როგორც უნდა გამოეფაშენა, თარჯიმანმა უტაცა ხელი, წაართვა ხანჯალი რე თვით წულუკიძეს გაუჩნდა თავი. თარჯიმანს—სომეხს ამისათვის უბოძეს საპატიო ხმალი და სიკვდილამდე პენსია.


რაქის დამშვიდების შემდეგ გორჩაკოვი და ვლასოვი ორივე მხრივ მოექცნენ ხანის ხეობასა და 1 ივნისს მცირე ბრძოლის შემდეგ ხეობა დაიპყრეს. ამაშიც ოსმალეთში გადავარდა. იმერეთში მოისპო არეულობა. ახლა ველიამინოვმა გასწია გურიისაკენ. 24 ივნისს მისი რაზმი შემოქმედთან მივიდა. შემოქმედი ერთ შესანიშნავ ადგილთაგანა მთელს გურიისაში, როგორც ისტორიულად, ისე მშვენიერის მდებარეობით. ძველს სავანეზედ, სამღვდელთ-მთავრო ტაძრ-

ჯაიამ მღვიმეში და თან ჩაატანა ერთი წვერი თოქსიანი მარჯვენა ხელში ამ უკანასკნელ მუშებში დიდი ცეცხლი ჰაბაბე თოქსი წელში მკვდრებს და ცოცხლებს და თითო თითოდ ამოიყვანეს ყველა. იმ წამსვე ფერშალმა დ. პეტრუსოვმა ყოველი ღონე იხმარა მუშების მოსასულიერებლად, მაგრამ საბრალო გაბადაძესა და ერადეს ვერაფერი უშველა: ისინი დიდის ხნის დამჩრვალნი ყოფილყვნენ, ხოლო ყიფიანი, ლენეფაძე, კახიანი და ავალიანი ორის საათის განმავლობაში ძლივს მოასულიერეს და ეხლა კარგად არიან. ი. გაბადაძეს დარჩა მოხუცებული ღვდ-მამა, ცოლი და პატარა შვილი, ხოლო ა. ერადეს—დავრომელი და მოხუცებული ღვდა, უმწეო და უნუგეშო.

ეს უბედური შემთხვევა მაშინადვე აცნობეს ადგილობრივ ბოქაუსს, ბ-ნ მ. აბულაძეს, რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა მადანში და ოქმი შეაყენა, აგრევე დევეშით აცნობა მხარის უფროსს ეს ამბავი და სთხოვა ექიმისა და გამომძიებელის გამოგზავნა.

ზედა სართულში, იქ, სადაც საბრალო მუშები დაიხობენ, როგორც აღმოჩნდა ვაზი და კომლი გაჩენილა ქვედა სართულიდან, სადაც ცეცხლი იყო გაძლიერებული და ახლა ზედა სართულში ასულა და იქაც წაჰკიდებია ნახშირს. როგორც უწყით, მანდში ცეცხლი გაჩნდა 18 აპრილს და მას აქეთ, თუმცა, როგორც ამბობენ, ოთხი ათასი მანეთი დახარჯულა მის გასაქრობად და დღესაც აქრობენ, მაგრამ ცეცხლი თუ ძლიერდება, თორემ არ-კი კლებულობს. ეს, რასაკვირველია, იმიტომ რომ დროზედ არ მიექცა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება და ეხლა, როცა გაძლიერდა ცეცხლი, ძნელი შეიქმნა მისი გაქრობა. ზედა სართულში ცეცხლის აწევას და გაჩენას სრულებით არ მოელოდა თურმე მანდის მმართველი ბ-ნი ალაბაზოვი, მაგრამ დახეთ ბედს, ცეცხლი ავიდა კიდევ ზედა სართულში, უბედურებაც მოახდინა და ეხლა მთელს მადანს, იმ საუცხოოდ მორთულ-მოწყობილ მადანს, (იხ. მისი აღწერილობა, 1891 წ. „ივერის“ 336 ნომერში), რომელიც ყოველგან ცნობილია ინე-ნერმა ბ-ნმა პ. გორლოვმა მოაწყო-

ით, რომელსაც ოდესმე მთელი გურია მეორჩილებოდა, არა ერთსა და ორს საუკუნეს გადუვლია, მაგრამ დიადმა შენობამ თავს ვადიტარა გრეივლნი ყოვლის შემშუსრველი დროესა და ამაყად უხვდებოდა საპოლიტიკო ქეჩქუბილთა. წარსრულთა საუკუნეთა აღბეჭდეს დიდის სიძველის ბეჭდით უშველებელნი ცისფერი თლილი ქვები, რომლებითაც აღშენებულია ტაძარი: იგინი გარემოიცვა მწვეანე ხავსმა და ფათალომ, ამ განუყრელთა თანა მგზავრთ იმერეთისა და გურიის სიძველეთა ნაშთთა. მეორე საყდარი, უფრო პატარა, მარამ ვგრევე ძველი შესანიშნავია მით, რომ მასში დაცულ არიან მატანენი საქართველოსი. მაგვარნი კიევი-პეტრის ლავრის პატაროკისა (მამათ ცხოვრების), დიდი ხნის ნაშრომ-ნაღვაწნი შემოქმედნი ბერ-მონაზონთა. თვით მონასტერი, დამრდილული დახვსებულ წაბლის ხეებით, ვე უტყვი მოწამე გურიის წარსულ ღვდ-გვემთა, ამასთანავე არის ენგური მის მთავართა რამდენისა-



სამუშაოდ და საიდგანად, ბ-ნ გორლოვისავე გამოანგარიშებით, ასი მილიონი ფუთი ნახშირი სულ ადგილად მოიტყებოდა და გამოიზიდებოდა, ეხლა ულმოზებულმა ცეცხლმა ლამის შთანთქას და განადგუროს ეს აუარებელი სიმდიდრე.

მადანში ცეცხლის გაჩენის შესახებ ორჯერ იყო „ივერიის“ ცნობა და კერძოდ აცნობეს აქციონერთა საზოგადოებას ტფილისში, გამგზავნეთ მკოდნე ინჟინერი მადანის დასათვალიერებლად.—30 მაისს კიდევ მოვიდა საზოგადოების გამოგზავნილი ინჟინერი ბ-ნი ბეგზაროვი, რომელმაც დაათვალიერა მადანი და მუშაობის რიგი და წესი დაუწუნა მადანის მმართველს ბ-ნს ალაბაზოვს: რატომ ინჟინერ გორლოვის წეს-რიგზე არ გიმუშავებთ და რატომ მიიტოვებთ მისი დაწყობილობაო, უთხრა ბ-ნმა ბეგზაროვმა.—ინჟინერ გორლოვის დაწყობილობა იყო: ნახშირი უნდა მოეტყებოდა (по пластам) ჯერკმად ან ნაკეცად და იმ ადგილებში, საიდგანად ნახშირი გამოჰქონდათ, ქვა და მიწა უნდა ჩაეყარათ და გამოეფოს, რათა ნახშირი არ ჩამოგრეულიყო და ცეცხლი არ გასჩენოდა. გორლოვის მოადგილემ ბ-ნმა ალაბაზოვმა-კი სულ სხვა თავისებურ წეს-რიგზე დაიწყო მუშაობა: უფრო იფად დაჯდება ნახშირი და, ას წილი უფრო ძვირად დაჯდა; ბევრის მდომმა ცოტაც დაჰკარგაო, რომ იტყვიან, ისე მოხდა. იმ ადგილებში, საიდგანად ნახშირი მოსტყებდა და გამოჰქონდა, ნაცვლად ქვა და მიწა არ ჩაჰყარეს ეკონომიის გამო, ამიტომ შარშანვე ჩაინგრა მღვიმეში დიდ-ძალი ნახშირი, რომელსაც, რა დააყოვნდა მადანში და დასველდა, თვისით გაუჩნდა ცეცხლი.

თუ საზოგადოებას ჰსურს, რომ ზამთრისთვის ნახშირი არ შემოაკლდეს, ამ საფუძვლიანად უნდა გააკეთონ მეორე მხარეს (ეგრედ წოდებულ ვარანკოვის დროის მალაროში) მღვიმეები და მოამზადონ ნახშირი. შარშან ზამთარში ყოველკუთხილამ იხვეწებოდნენ, ნახშირი მოგვეყიდეთ, ნახშირო, და ამ ყოველად მდიდარ მადანში, სადაც მილიარდ ფუთობით სძევს ნახშირი, არ მოიპოვებოდა გასასყიდად ამოდებული.

მე შთამომავლობის გვამთა; მათნი უხმო აკლამანი, თლილის ქვის სიპებისაგან ქმნილი, მთლად მოიცივენ ტაძრის იატაკსა; მარამ სიწმიდის შეურაცხყოფელმა ოსმალთა ხელმა, შემოსევთა ყამსა, არ დაინდო თვით უკანასკნელი განსასვენებელი ადგილი გურის მძლივრ მთავრებისა. აქედან, ციხის სიმაღლიდან, თვალი სწვდება თითქმის მთელ გურისასა, ნაწილს სამეგრელოსას და იმერეთისას და იკარგება თვალ გადუწდენელ ამწვანებულ ტყეებში, რომელნიც ერთიან გამოურკვეველ ლაქვარდს შორეულ ციხისას (горизонты), გარემოცულს უშველებელ მთებით, რომელთ დათოვლილი მწვერვალნი უძრავ ღრუბლებად მოჩანან აქედამ. მეორე მხრივ—შორეული, თვალ-გაღწევადეული ზღვა... ველიამინოვს შემოქმედი მზა დაუხვდა. სამი როტა 44 ეგერის პოლიკისა, მაიორის მიხინის სარდლობით, იერიშით მივიდა და მტრის თოვის ტყვიის ქვეშე, ნახევარ საათზედ

31 მაისს ინჟინერმა ბ-ნმა ბეგზაროვმა, როგორც მინდობილი ჰქონდა აქციონერთა საზოგადოებისაგან, დაათვალიერა მადანის ყოველი კუნძული, ის ადგილებიც, სადაც ცეცხლი არის გაჩენილი და იწვის ნახშირი; გამოცდილმა ინჟინერმა ამ ადგილებისაკენ ადგილად გაიგზო გზა, ი. იონათამაშვილის დახმარებით, ყოველივე ჰნახა და სამს იგნის, სანამ ზემოხსენებული უბედურობა მოხდებოდა, ბ-ნი ბეგზაროვი ტფილისს გამოგზავრა შუადღის მატარებელით.

ამ უბედურების შემთხვევაში მუშაობას ვერაფერ ვერ ჰხდებოდა, თითქმის ყველა მუშებმა, გარდა ი. დოლგოვის არტელისა, მუშაობაზე ხელი აიღეს და თავიანთ სახლებში წავიდნენ.

მეგრული (დასასრული იქნება)

**პრეზიდენტის ქალაქის საპრეზიდენტო საზოგადოებისა.**

(დასასრული \*)

კრებას მოხსენდა ფინანსთა სამინისტროს მოწერილობა იმ უწყისების შესახებ, რომელიც აღმოაჩენია საკრედიტო საზოგადოების მმართველობის საქმეებში, უმაღლესის ბრძანების თანხმად, პეტერბურგიდან გამოგზავნილს რევიზორს დეისტვ. სტატსკი სოვეტნიკს პლატოვს. აი რა უწყისობა აღმოჩენილა:

- 1, მმართველობა თავის დროზედ არ ართმევდა ვადიან გარდასახადს და შეღავათს აძლევდა, წინააღმდეგ 73 წესდებისა, არამც თუ დაგირავებულ მამულის პატრონის სიკვდილისა გამო ანუ აპეტუნის დანიშვნამდე, არამედ ყველა მსესხებელს, მმართველობისა და ზედამხედველ კომიტეტის სურვილისამებრ.
- 2, ზოგი მამული, ვადიან გარდასახადის შემოუტანლობისა გამო, უნდა გასასყიდად დანიშნულიყო და არკინიშნებოდნენ; ზოგი-კი დანიშნულიც ყოფილა გასასყიდად და მერე სიდიდან ამოუშლიათ, თუმცა გარდასახადი შეტანილი არა ყოფილა.
- 3, მმართველობა აძლევდა სესხს ჯერ არ აშენებულ და არ დათავრებულ

\*) იხ. ივ. № 120

ავიდა მალალ ტყიან გორაკზედ. სანამ სალდათები ჰიშკარს ამტვრევდნენ, გენერალურ შტაბის შტაბს-კაპიტანმა ბობოროკინმა, მეორე მხრივ მოუარა ციხეს, და ნახა მალლა კარები, და მიყუდებული კიბე და სალდათები უმაღლად დგოდნენ ციხეში. მაგრამ იქ აღარავინ იყო. შემოქმედი შემუსგრილ იქმნა, ნახნავ-ნათესი და სავენახენი ირგვლივ მცხოვრებთა—გავერანებულ. თვით ციხე საძირკვლამდე დაანგრის, მხოლოდ საყდარი დაუტევს და იქვე აუგეს პუზირევსკის აკლამა. გურიელმა მამიამ გამოუგზავნა ველიამინოვს პუზირევსკის მკვლელი, რომელიც გამოტყდა, ვითომ იგი გაებრიყვებინოს ქაიხოსრო გურიელს; იგი გაატარეს სალდათების ორ წრეს შუა იქ, სადაც პუზირევსკი მოეკლა. გურიელებმა ითხოვეს შენდობა და ველიამინოვი გამობრუნდა ოზურგეთისაკენ. აქედან სამეგრელოსაკენაც გაითარეშა ხუთმა როტამ ორის ზარბაზნით, იმავ მაიორის მიხინის სარდლობით.

ბელ სახლის პატრონებს, ანუ ჯერ არ დაარსებულ ქარხნებისა და ფაბრიკების გიროდ მიღებით; ამას გარდა, ბევრს მამულისათვის ისეთი დიდი ფასი დაუდგიათ, რაც ნამდვილად არა ღირს.

4, მმართველობას, წესდების იმ მუხლთა წინააღმდეგ, რომელნიც მამულის გადაგირავებას შეეხებინან, ქალაქებში და წიგნებში ისე გამოჰყვანდა, ვითომც სესხი სრულიად გარდასხდილია და პატრონმა მამული ხელ-ახლად დაგირავაო, და ახალ სესხს აძლევდა წინანდელზე მომეტებულს, თუმცა ჯერ არც ხუთი და არც ათი წელი არ იყო განვლილი პირველ სესხის გაცემიდან.

5, მმართველობამ ტყუილად შეატყობინა უფროს ნოტარიუსს, ვითომც შაბუროვისეული სახლი 95,000 მანეთად იყიდა თ. ჰავკავაძემა, რომ ხაზინას ნაკლები გარდასახადი რგებოდა; ნამდვილად-კი ეს მამული გაყიდულია 143,000 მანეთად.

6, ერთს მმართველობის წევრთაგანს გამოსყიდული კუპონები ამავე საზოგადოების ობლიგაციისა ხელმეორედ წარუდგენია გასანადგებლად. ამ ნაირად ხელმეორედ გამოსყიდულია 21,665 მანეთის კუპონები.

7, მმართველობა იღებდა საქმეებიდან მამულის დაფასების ოქმებს, თავის გარდაწყვეტილების და სხვა საბუთის ქალაქებს და მათ ნაცვლად სხვას ჩასდებდა ხოლმე საქმეში, იმავ თარიღით და ნომრით, რომ ამ გზით ფასი წაემატებინა და ნამდვილ ღირებულზედ მეტის გატანა შესძლებოდა მამულის პატრონს; საზოგადოდ ეს საქმე მეტად აწეწილდაწეწილია.

მმართველობისა და ზედამხედველ კომიტეტის ესეთ უწყისო მოქმედებას ის მოჰყვა, რომ საზოგადოებას ზარალი მოსვლია 56,000 მანათისა; ამ შემთხვევისათვის გადადებული თანხა-კი მხოლოდ 28000 მანათია; ამას გარდა, ვადაზედ არ არის შემოტანილი გარდასახადი 75,000 მან. და 278,000 მანათის მამული ვერ გაუყიდნია საზოგადოებას და თითონ დარჩენია; აქედანაც მოსალოდნელია 90,000 მან. ზარალი.

ამის გამო ფინანსთა მინისტრმა ბრძანა: ა, ეხლავე დაინიშნოს კრება საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა იმის მოსახარებლად, თუ რო-

იერიშით აიღეს სოფ. ღვედი მისის მონასტრით და აჯანყება აქაც მოისპო. უფრო შეუპოვარნი მეგრულნი, რუსების მოახლოვებაზედ, თვით უკიდებდნენ ცეცხლს თავის სახლ-კარსა და ციხეებს და სარჩო-საბადებლით ცოლშვილიანად ფოთისაკენ გარბოდნენ. დანარჩენი მეგრელობა დამევიდა. საეკლესიო ცვლილებანი ყველგან იქმნენ შემოღებულნი დაუბრკოლებლივ.

ერმოლოვი მეტად კმაყოფილი იყო აჯანყების ასე სწრაფად ჩაქრობისათვის... „ვემდობ 44 ეგერის პოლიკისა, რომელმაც გრძობა-მწუხარებაც იცის (თავის სარდლის პოლიკოვნიკს პუზირევსკის მოკვლისათვის) და სისხლის აღებაცა. აღარ არსებობს ციხე (შემოქმედისა), სადაც პუზირევსკის მოუსპეს სიცოცხლე. „ესრეთ, შემდეგ მოლაღატეთა გაუღეტისა, მხოლოდ მათი სახელი-ლა შთება სალანდლად და ავად მოსახსენებლად, სწერდა, სხ. შორის, ერმოლოვი თავის საყოველთაო ბრძანებაში.

გორ შეიძლება აიცილოს საზოგადოებამ რევიზიით გამოარკვეული უწყისობა და რით შეიძლება საქმის გასწორება; ბ, მმართველობამ უნდა მოსახოვოს მსესხებელთ ვადაზედ არ შემოტანილი გარდასახადი; ვინც არ შემოიტანს, იმისი მამული საჯაროდ გაიყიდოს და, უკეთუ მამულმა მთლად სესხი ვერ აინახაურა, რაც დააკლდეს, ზარალად ჩაიწეროს; გ, ის მამულთა, რომლებიც საზოგადოებას დაარჩენია (278,000 მანათისა), რაც შეიძლება, მალე გაიყიდოს და, უკეთუ თავის დააკლდა რამე, ზარალად ჩაიწეროს; დ, საზოგადოების ზარალი (56,000 მან.), რომელიც რევიზიამ აღმოაჩინა, შეიგოს 28,000 მანათით, რომელიც ამ შემთხვევისათვის გადადებული აქვს საზოგადოებას და დანარჩენი ზარალადვე ჩაიწეროს; ე, ყოველი ზარალი, რომელსაც-კი საზოგადოების თანხა არა ჰყოფნის, შესვლულ იქმნას დამნაშავე წევრთაგან მმართველობისა, ზედამხედველ კომიტეტისა და ამ დაწესებულების მხელეთაგან; თუ ამ რიგადაც ვერ შეიგოს ზარალი, მაშინ დანარჩენი ყველა საურთიეთო თვედობით დაგირავებულ მამულების პატრონთ უნდა გარდახდეს.

ამ მინისტრის მოწერილობაზედ მმართველობას პასუხი არ მოემხადებინა და მხოლოდ დირექტორმა მ. როტინიანცმა სხსნა პირად ზოგი გარემოება, პლატოვის რევიზიაში აღნიშნული.

რევიზორს უჩვენებიაო, სთქვა მ. როტინიანცმა რომ საზოგადოებას 56000 მან. ზარალი მოსვლია. ეს არაფრით არა მტკიცდება. აქ ანგარიშიში შეტანილია ის 21000 მან., რომელიც კუპონებით ხელ-მეორედ გაუტანიათო, და 35,000 შემოუტანელი გარდასახადი. ჩვენ ქსურდს ხელს ვერ დავუტყროთ, წინააღმდეგ ხომ არ შევკატყობინებდა, საქურდავად მოვდივარო, და არც თუ ის შეგვიძლიან, რომ ყველა მამული გაეყიდოს, რომლის პატრონიც ვადაზედ გარდასახადს არ შემოიტანს; თუ დიდხანს უხდია ვალი, თავნი შეუმცირებია, რატომ არ შეიძლება შეღავათი მიეცეთა? მართალია, ეს წესდების წინააღმდეგიაო, მაგრამ ჩვენ მივეჩვით უწყისებოდ მოქმედებას და ისეც ვაწარმოებდით საქმესაო. ჩვენ ძალას გვატანენ მა-

იმერეთის აჯანყებაში ვინც ასე თუ ისე-მიიღო მონაწილეობა, მათზედ ბევრი არა გვეუქმის-რა. თოფოლაქტი, რომელიც თავის გაუფრთხილებელ მოქმედებით შეიქმნა პირველ მიზეზად აჯანყებისა, მრავალ ქრისტიანთა სისხლის დათხებისა, ხაზინის ზარალისა და მთავრობის შექუხებისა—მოკვდა 19 ივლისს 1821 წ. მამა ლევან დადიანისა, გიორგი შეპყრობილ იქმნა და გაგზავნილ ციხიბრის შორეულ კარპუსში სამსახურისათვის. მამია გურიელს უფრო მწარე და სამწუხარო ხედვრი არგუნა ბედმა. თავანდელი ერის სიყვარული და თავდადება, 1820 წ. აჯანყების ამბების შემდეგ, მამიას მძულვარებად გადაექვა; თან შინაურობაში მუდამ გულ-ნატყენი და შეურაცხყოფილი იყო. ამისათვის მუდამ ობლად ჰკრძნობდა თავსა, ამშიში (меланхолия) შეიქმნა და მოკვდა 21 ნოემბერს 1826 წ. 27 წლისა. \*)

\*) მუხლუე მამია V(1810—1826 წ.)

მულები გაჰყიდეთო. ერთი ამამულთაგანი (ტერ-საბურთოისეული) ჩინეთის მეტად ძვირფასია; შედარებით იდგება შემოსულს 22,000 მანეთად და ვალა-კი მხოლოდ 129,000 მანადგსო. ეხლაც გვაძლევენ მავ მამულში 250,000 მანეთისა, მაგრამ ჩვენ ნუ გავყიდით, ჩვენთვის დავინარჩუნოთ და ამის ნება-რთვა ვითხოვოთ. კარგი პატრონი რომ ჰყავდეს ამ მამულს, წელიწადში 27,000 მანათს ამოაღებინებსო. ხმა დაგვიყარეს, ვითომც საზოგადოების საქე ცუდად მიდის. ამის მთქმელი ჯერ კარგა უნდა დააკვირდეს საქმეს და საბუთებით აღიჭურვოს. გარწმუნებთ, საზოგადოების საქმე კარგათ მიდის და ამ წლის ბოლოს ნახათ, რომ ზარალი სრულიადაც არა გვექმნება რა. თუმცა აქამომდე ბოროტ-მოქმედებაც ბევრი იყო, მამულებს, მაგალითად, ძვირად აფასებდნენ, მაგრამ მაინც ზარალი-კი არა, ამ იენისის პირველამდე, როგორც ბალანსი გვიმტკიცებს, 30,000 მანეთი დაგვჩაო.

ამას შემდეგ ბევრი იბასეს სამინისტროს რევიზიის შესახებ; ზოგი ამბობდა მავ საქმის განხილვა და გარდაწყვეტა ახალ მმართველობას მივანდოაო, რომელსაც ეხლა ავირჩევთო; ზოგი კომისიის დაარსებას ურჩევდა, მაგრამ არა გადაწყდა-რა. კომისიის დაარსება უარ-ყოფილ იქმნა 22 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 18 ისა. კრება გადაიდო 13 იენისისათვის.

**მინა შენიშვა**

უშინის „Родное Слово“-ზედ

იყო დრო, როცა უშინის „Родное Слово“-ს მართლა პირველი ადგილი ეჭირა რუსეთის სახელგაგო ლიტერატურაში. ამ სახელმძღვანელო წიგნს მაშინ დროს შესაფერი სარგებლობაც მოჰქონდა რუსეთის მოზარდ ახალ-თაობისათვის, მაგრამ ამ ბოლოს დროს მას ცოტა არ იყოს შეუსუსტდა აღრინდელი სახელი, რადგანაც საყმაწვილო წიგნები პატარა მოსწავლეთათვის უფრო ადვილი გასაგებია და გონივრულად დაწერილი. ესთქვათ, თუნდა, რომ ამ წიგნს ჯერ ტოლი და სწორი არ

ქაიხოსრო ოსმალეთში გადავარდა უნებლიედ. 1821 წლის დამლევს მის შვილებს ნება მისცა მთავრობამ სამშობლოში დაბრუნებისა, მაგრამ თვით ქაიხოსრომ არ ისურვა სამშობლოში დაბრუნება, დარჩა სამუდამოდ საზღვარ გარედ და მუდამ მიწერ-მოწერაში იყო მამიასთან. თუმცა განდევნილი იყო, მაგრამ როგორც გონიერი და გამოცდილი კაცი, მამიას ყოველთვის ურჩევდა არა ჰნდობდა ოსმალებს და რუსების ერთგული ყოფილიყო.

ესე გათავდა აურ-ზაური (недоразумѣние), აღძრული ორს ერთ-მორწმუნე ხალხთა შორის. ჩამოვიდნენ ასპარეზიდან მომქმედნი კაცი და შემდეგ ისტორიულ მღელვარებათა წაღვეს ხალხთა უმეტეებისა და უგონოების ყოველი კვალიც-კი...

3. ცხელილოლი 9 იანვარი 1893 წ.

სოფიო იყო ასული ზურაბ წერეთლისა, რომელიც ცდილობდა მამიას შერთვასა ქაიხოსროსთან. იხ. ზურაბის წერილი ამისთვის Археолог. пут. დ. ბაქრაძისა 322 გვ.



გამოსჩენია, რომ „Родное Слово“ უკეთესი სახელმძღვანელოა, —საკიროსა მხოლოდ ვიცი, ასევე კარგია თუ არა ეს წიგნი ქართველთა ყმაწვილობისათვის? ჩვენთვის, ქართველებისათვის, უშინსკის Родное Слово არც ეხლა და არც უწინ იყო სასარგებლო, მაგრამ სხვა ამ გვარ წიგნების უკონობისა გამო, უშინსკის წიგნსა ვჯერდებოდით. ჩვენს მოზარდ თაობის სწავლების საქმე თუ გვინდა გააღვივდეს, უთუოდ უნდა უარ-ვყოთ უშინსკის სახელმძღვანელო.

გამომოთ ერთს გარებობებს. წარსულ წლის სექტემბრიდან სოციალისტების ოლქისთვის დაარსებულ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებში დაიწყო შეგირდების სწავლება უშინსკის საყმაწვილო წიგნებითა. წარმოიდგინეთ, რომ მასწავლებლების თავ-გამოდებულმა შრომამ ბევრი ვერა გააწყურა და შეგირდებმა ძლიერ ისწავლეს რუსული წერა კითხვა სამოსწავლო წლის გასულსა. „Родное Слово“-ს მეთვრამეტე გვერდიდან, ოც და-ოთხამდე ჩაბოლოდა ისეთი სიტყვები, რომლებსა გამოთქმა უძნელდებათ ჩვენს ყმაწვილებს.

მკორე შესანიშნავი ნაკლულები არაა ამ წიგნისა ის არის, რომ სიტყვები მარცვლებად არ არის დაყოფილი პირველ წიგნში. არაფრის მკლადნე ბავშვისათვის გაუგებარ საგნების სახელების დახეობირება და მარცვლებად დაუყოფელ სიტყვების კითხვა დიდი სიბნელე და თავის მტკრევაა. ეს იმას ემსგავსება, რომ მასწავლებელმა ერთი დიდი მჭადი მისცეს მასწავლეს და უთხრას: ეს მთელი მჭადი ერთბაშად გადაყლაპეო. „Родное Слово“-ს ოც-და-მეგრე გვერდებზე ჩამოთვლილია შემდეგი საქმელები: ში, უხა, ყარკოე, კულებია, კაშა, ლაშა. არა მგონია, ჩვენებურ სოფელთა ბავშვს ექამოს ან ენაზის ოდესმე ხსენებული საქმელები. ვიდრე უკმითა და უნახავთ უთუოდ ამ გვარი საქმელები რუსის ბავშვს; მათთვის ამ სიტყვების შესწავლა პირველ დაწყებითის სწავლის დროს ადვილია. იმავე წიგნში, იმავე გვერდებზე არის დაბეჭდილი პატარა ლექსი „ТЮШКИ, ТЕТЮШКИ, ОВСЯНКА ЛЕПЕШКИ“. მასწავლებელმა, რომ უნდა განიეროთ და აუხსნას შეგირდებს ეს ლექსი, მაინც იმათ წესიერ ცნობას ვერ მიადებინებს რადგანაც ჩვენებურ ბავშვებს სიზმარშიც არ მოლანდებიანთ ეს ОВСЯНКА ЛЕПЕШКИ-ები. ხოლო რაც შეეხება ТЮШКИ, ТЕТЮШКИ-ს — ეს სულ უცხოა და უცხო დიდად ძნელი ასახსნელ-გასაგები. ამ გვარი ნაკლულები უშინსკის სახელმძღვანელო წიგნში ბევრი მოიპოვება. რუსეთის გამოჩენილი პედაგოგი უშინსკი თავის წიგნში სრულებით არ არღვევს პედაგოგიურ კანონებს, ამას ვინ ამბობს?! ხოლო გაბედვით ვიტყვი, მის მიერ შედგენილი საყმაწვილო წიგნი სრულიად გამოუადგება ჩვენს ბავშვებისათვის. წარსულ წელსში სწავლის საქმე უფრო მარჯველ მიდიოდა ჩვენს სკოლებში, რადგანაც ბ. ნ. გოგებაშვილის Русское Слово და მისივე „დედა ენა“ გვერდნა სკოლებში სახელმძღვანელოდ.

წარმოიდგინეთ ჩვენი გაცივრება, შარშან ამ წიგნების წყალობით შეგირდებმა სამის თვის განმავლობაში ისწავლეს ქართულ-რუსული წერა-კითხვა. რუსულ ენის ლექსიურ ვარჯიშობაშიც ვტყობოდით გამარჯვება ბავშვებს. ამ სამოსწავლო წლიდან მოსპეს ქართული ენის სწავლება ჩვენს სკოლებში, აგრეთვე უარ-ჰყვეს ბ. ნ. გოგებაშვილის საყმაწვილო წიგნების ხმარება. ნაცვლად ამ წიგნებისა გამოგვიგზავნეს შეგირდების დასარიგებლად მთელი ერთი ურემი უშინსკის „Родное Слово“-ები. დასასრულ, ვიტყვი, რომ უკეთეს შემოსხენებულ სკოლებში არ დაიშლიან უშინსკის სახელმძღვანელო წიგნების ხმარებას, დეე, იხმარონ, მაგრამ შორს-კი ვერ წავლენ ამ წიგნებითა და სწავლის საქმე დიდად შეფერხდება სკოლებში.

ო—მელი ვ—ნო  
4 ივნისს.

# დეგემა

10 ივნისი  
**ბერლინი.** როგორც არჩვენებამდე იყო საქმე, ისეა ეხლაც. ვიდრე არჩენები სულ არ გათავდება, ძნელია რამე დაქვემდებარებით ითქვას არჩვენების შედეგზე; მაინც ოპოზიციონერი შიშობენ, იქნება ახალ რეისტრში სახმადრო კანონ-პროექტის მომხრეთა მცირე უმეტესობა შესდგესო. მრავალ მხრივ გამოანგარიშებით, ეხლა ყოველივე დამოკიდებულია იმ 71 კანდიდატზე, რომელთაც ხელმეორედ კენჭი უნდა უყარონ; ამ რიცხვიდან კანონ-პროექტის მომხრეთ უნდა 41 ადგილი დაიჭიროს; კანონ-პროექტის სასარგებლოდ ის გარემოება ჩათვლება, რომ დამარცხებული შუადსი სულ დაბნეულია. ვარდაწყვეტილია, რეისტრში ხელ-მეორედ არა შემთხვევაში არ იქმნას დათხოვნილი.

გამოცხადდა ანგარიში კენისბერგის ვაქრთა საზოგადოებისა, რომელიდანაცა სჩანს, რომ ადემიციემობის საქმე წარსულ წელს რიგობად ვერ მიდიოდა და ამ წლის პირველ ხუთს თვესაც სანუგეშო არა დაეტყო-რა. ერთად-ერთი საშვალეა წარმატებისა, ნათქვამია ანგარიშში, დაუყოვნებლივ სავაჭრო პირობის შეკვრა რუსეთთან.

ვეტერბურგის ბირება, 4 ივნისი.

სახელი	მარცხი	გამარჯვებული	მანძილი
სუთ-მანათიანი ოქრო	7,188	7,188	—
სამოიანის ვუბონები	151	151 3/4	—
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,002	1,004	—
50% პირველის შინაგანის სქლის მომგები	—	—	247
ბილეთი	—	—	224 1/4
მეორისა	—	—	—
40% მესამე სესხისა	—	—	—
სახელმწიფო თავად-მანურობის ბანკის მომგები	—	—	194 1/2
გერმანიის ვერცხლის ტვილიონის ბანკისა	—	—	—
50%	—	—	101
50%	—	—	100 1/4
ქუთაისის ბანკისა 50%	—	—	101
50%	—	—	100 1/4
50% ობლიგაცი. უფულის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98	—	—

# ბანსკალეხანი

ბზილისის ძალაქის მოურავი-საბან.

კრება ქალაქის ამომრჩეველთა, ასარჩევად ტფილისის ქალაქის საბჭოს წევრებისა და არა ნაკლებ 16 კანდიდატისა, დანიშნულია 13 ივნისს, კვირას, დილის 9 საათზე, სახაფხულო თეატრში, ინჟინერის ქუჩაზე. ამ კრებაზე, თანხმად გუბერნიის საკრებულოს 21 მაისს 1893 წ. გარდაწყვეტილებისა, კენჭი უნდა უყაროს იმ პირთა, რომელნიც წინადარჩევით კანდიდატად დასახლებულნი, რიცხვით 364 (გარდა 74 უკვე არჩეულთა ხმონებად) და რომელნიც ქალაქით გამოუცხადებენ ქალაქის მოურავს სურვილს კენჭის ყრისას; კენჭი ყრებათ აგრედვე იმათაც, რომელნიც თვითონ მოინდომებენ კანდიდატობას. ამასთანავე ვისაც სურს, კენჭი იყაროს, უნდა თვისი ვინაობა აცნობოს წინადავე ქალაქის მოურავს.

კენჭის ყრის სურვილი, ანუ კანდიდატობის უარ ყოფა ქალაქის მოურავს უნდა გამოუცხადონ ხუთშაბათამდე, 13 ივნისს. სია 364 პირთა, თავის დროს გამოცხადებული, წესი და ინსტრუქცია არჩვენებისა, აგრედვე აღბეჭდილი 24—33 მუხლები საქალაქო დებულებისა, მსურველს შეუძლიან მიიღოს ქალაქის გამგეობისგან. ბილეთებს, რომელნიც მიეცათ ამომრჩეველთ 16 და 30 არჩვენებზე დასასწრებლად, ძალა ექნებათ 13 ივნისის ამომრჩეველთა კრებაზედაც. ვისაც წინადა არ მიუღია ბილეთი 16 და 30 არჩვენებისათვის, იმას შეუძლიან 13 ივნისამდე მიიღოს ქალაქის გამგეობისაგან. (3—2)

ИЗВЕСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ  
**ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО**  
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ  
КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ  
ФАБРИКИ  
**БРОКАРЪ И К<sup>о</sup>**  
можно получать во всѣхъ лучшихъ  
магазинахъ  
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იბათთვის, ვინც დასწველებული და დაავადებულია იზინიზითა და თავ-შეკეულის ცხოვრებით.

**თხზ. დ. არის ლორანსისა.**

რუსულად გამოცემულია დ. არისის მიერ.

ფესი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალება დასაწველებული შემოსხენებულ მანკის შედგენის ასაცილებლად და დასწველებულის ფანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ხება-დართულია მოსკოვის საცესურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგსა **Otto Asperger Leipzig** (საქსონიას). უფო-ქვეყნული წიგნის გავაჟანის ფასს იხდინ.

# პირველი გერმო სამეცნიერლო

ექიმის ნავასარდიანისა (გუკიაში, ვარანკოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა დილაობით იღებენ:

- ბ. ა. ნავასარდიანსა, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულე-ბანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიცილისი).
- ე. მ. ჩაქვანსა, 9—10 საათამდის, სნეულე ბანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.
- დ. გ. რუდეკავსკისა, 10—11 საათამდის, სნეულე ბანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.
- ა. ჭ. შარატასკისა, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულე ბანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.
- მ. წ. ქანანავასა, 12 1/2—1 საათამდის, სნეულე ბანი: საბებო და დედათა სქესისა.
- ს. ზ. კანაშკიანსა, 1—1 1/2 საათამდის, სნეულე ბანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოაობით მიიღებენ:

- ს. მ. ფუგინავასა, 5—6 საათამდის, სნეულე ბანი: ბავშვებისა და შინაგანი.
- ა. გ. ჩეპურავსკისა, 5—6 საათამდის, სნეულე ბანი: თვალის და გულ-მკერდისა; ხშირად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორს) და შარდს.
- ს. ა. ვადამსკისა, 6—7 საათამდის, სნეულე ბანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).
- ბ. ა. ნავასარდიანსა, 7—7 1/2 საათამდის.
- ე. ა. ფანანავასა, 7—7 1/2 საათამდის, სნეულე ბანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონი და ზეღვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ჩრევა-დარბების და რეცეფტის დაწერის ფასი ათა შაურია; ფასი ექიმთა კრების ჩრევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დაბეჭდვით სამეცნიერლო, დაქტორა მედიცინისა ნავასარდიანსა.

# საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირანხულისა სეცევი-საგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს მანატიანსა, ხანილიანის ბაღებისა, თაშაპოხსა, სვიისა, და ბაშაბის ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება ყოველ შემოსხენებულის სეტყვისაგან დაზღვევისათვის. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზე, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევს 2 საათამდე.

(50—43) წარმომადგენელი კაპიტანისათვის დ. ქ. თუთაყვი

# რუსეთის სავაჭრო და სავაჭრო ბანკი

(ძირის ფული 1.000.000 მან.)

ისყიდება 5%—იანი მოგზაბიანი ბილეთები I, II, და III სესხისა თთვეში ხუთ-ხუთ მანათის გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტეც იხადონ თთვე-და-თთვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ 15 მანათისა. კუბონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა 65 აპპ.

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზე, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდან 2 საათამდე.

(50—28) აგნობა დ. ქ. თუთაყვი.

# საკოპერაციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა. სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზე, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—26) აგნობა დ. ქ. თუთაყვი